მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia)

2021 წელი



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის” მხარდაჭერით

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგოხია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის „თანხმობა” იურისტი (IDP Women Association ”Consent”).

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია ….....4

1.1 კვლევის საფუძველი 4

1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა 4-5

1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების დამუავება 5

2. შესავალი 6-7

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები.....8

3.1. ეკონომიკური განვითარება.....8-11

3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....11-12

3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....12-13

3.4.განათლება , კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა 13-15

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები.....15-16

4. რეკომენდაციები 17-18

5. საბიუჯეტო პროგრამა.....19-20

6. დანართი.....21

სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი.....21-22

1.კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში" ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, 2021 წლის აპრილის თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთის მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალით დანახული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული/პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე, წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფებზე მიღებული ინფორმაციიდან.

1.2 კვლევის მეთოდი და მონაწილეების შერჩევა

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე, შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის 2021 წ. საბიუჯეტო პროგრამები, მუნიციპალიტეტის 2020-2023 წწ. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი , მერის 2020 წ. განხორციელებული საქმიანობის ანგარიში და პრიორიტეტების დოკუმენტი.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- **ადგილობრივი თვითმმართველობიდან** : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- სკოლის დირექტორი;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი;
- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით (მრავალშვილიანი , სოციალურად დაუცველი, შშმ ბავშვის მშობლები, მარტოხელა მშობელი, დევნილი).

- ადგილობრივი არასამთავრობოს წარმომადგენლები;
- ახალგაზრდული საკრებულოს წარმომადგენელი.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო თორმეტმა (12) რესპოდენტმა, რომელთა შორის შვიდი (7) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 23 წლიდან 65 წლამდე მერყეობდა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეობა ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართულობას და განსხვავებული სქესის მონაწილეობას.

1.3 ჯგუფური დიკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეპუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა;
- ძირითადი სერვისები და პროგრამები წყალტუბოს მუნიციპალიტეტში;
- Covid -19- ით გამოწვეული ახალი საჭიროებები.

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2.შესავალი(ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/ დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას , მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკითხები, როგორიცაა : სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები , განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები ,სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, მოქალაქეთა ინფორმირებულობა, Covid -19 -განგამოწვეული ახალი საჭიროებები.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, ჯერ კვლავ რჩება სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური განვითარება და კეთილსაიმედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული , გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გააძლიერებს და თვითკმარს გახდის.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში შეიქმნას ერთობლივი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ბიზნეს სექტორი, თუ სხვა დაინტერესებული სუბიექტები შეძლებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალურ- ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, შეიმუშაონ და წარადგინონ რეკომენდაციები იმ ეკონომიკური განვითარების პროგრამების დასახვეწად , რომელიც სახელმწიფოს მიერ ხორციელდება, რაც აღნიშნულ პროგრამებს კონკრეტულ რეგიონზე , მუნიციპალიტეტზე მორგებულს გახდის.

მნიშვნელოვანია მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა საერთაშორისო (დონორ) ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტში დამატებითი პროექტების განსახორციელებლად, რაც ასევე გააუმჯობესებს ადგილზე მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას განავითაროს საკუთარი ადამიანური რესურსი და ხელი შეუწყოს ახალი სერვისებისა და პროგრამების დანერგვას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, წლებია ცხოვრობენ დევნილები, რომელთა ნაწილი განსახლებულია, ნაწილი კი კვლავ რჩება ნგრევად შენობებში, სადაც არ არის ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები. აუცილებელია მუნიციპალიტეტმა შეძლოს და განსახლების პროცესის დასრულებამდე, ხელი შეუწყოს

დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებებთანა ერთად.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, მცირედით დროში გადაიწია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ, გაიზარდა უმუშევრობა და მოწყვლადი ოჯახები უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას. აწვდიდა სასურსათო კალათებს, შეზღუდვების პერიოდში ეხმარებოდა გადაადგილებაში და სხვა. ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ახერხებდა მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების შეუფერხებლად მიწოდებას. უზრუნველყოფდა მოქალაქეების ინფორმირებულობას როგორც კოვიდ-19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ.

პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მოწყვლადი კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვის აუცილებლობა. დაწესებულმა შეზღუდვებმა, გაზრდილმა ფასებმა, შემოსავლის წყაროს დაკარგვამ მოწყვლადი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გახადა დამოკიდებული სახელწმიფო დახმარებებზე. დამძიმებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კი გაზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა შეძლოს და მოახდინოს სერვისების ახალ საჭიროებებზე მორგება, ასევე სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე რეაგირება.

მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საკითხებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1 ეკონომიკური განვითარება: ეკონომიკური განვითარების საკითხზე მსჯელობისას, უნდა ავღნიშნოთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, ამ სფეროში ინოვაციური მიდგომების დანერგვა.

სოფლის მეურნეობა : წყალტუბოში, სოფლის მეურნეობის კუთხით გამოკვეთილია ისეთი მიმართულებები, როგორიცაა : მევენახეობა-მეღვინეობა, მეცხოველეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა. ბოლო წლებში დაიწყო ახალი კულტურების გაშენება, როგორიცაა მარწყვი და ჟოლო. განვითარებულია სასათბურე მეურნეობები, სადაც ძირითადად მწვანილი მოჰყავთ.

როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს წყალტუბოს სოფლის მეურნეობის განვითარების კარგი პოტენციალი გააჩნია, რასაც ხელს უწყობს კლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგი. თუმცა ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტი სოფლის მეურნეობის კუთხით სხვადასხვა გამოწვევებს აწყდება,[1] კერძოდ, ადგილზე მწვავედ დგას შესაბამისი დარგის სპეციალისტების ნაკლებობის საკითხი(აგრონომები, ვეტექიმები და სხვა). მოსახლეობის ცნობიერების დონე დაბალია ახალი ჯიშების და ახალი ტექნოლოგიების დარგში. ფერმერები არ იყენებენ ახალ ჰიბრიდულ ჯიშებს და სასუქებს. როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, რიგ შემთხვევებში ფერმერების მიერ ხდება პესტიციდების ზედმეტად გამოყენება, რის გამოც ხშირად პროდუქცია ნიტრატებითაა გაჯერებული. მცირე ფერმერებს არ მიუწვდებათ ხელი ტექნოლოგიურ სიახლეებთან (მზის ენერგიის სადგური, თანამედროვე სარწყავი სისტემა და სხვა) , სიძვირისა და ცნობიერების ნაკლებობის გამო.

ადგილზე არსებობს ე.წ მექანიზაციის ცენტრი, სადაც მოქალაქეებს შესაბამისი აგროტექნიკის ქირავნობა შეუძლიათ, თუმცა ტექნიკის სიმცირის გამო მათ რიგში უწევთ დგომა. ტექნიკის ნაწილი მოძველებულია, ან ადგილზე სრულად არ არის წარმოდგენილი ყველა სახის სასოფლო სამეურნეო ტექნიკა.

წყალტუბოში მესაქონლეობა უფრო შინამეურნეობების საქმიანობაა. მოსახლეობას, ვინც მესაქონლეობას მისდევს ძირითადად ჰყავს ნაკლებ პროდუქტიული ადგილობრივი ჯიშის საქონელი, რაც მეტ შრომას მოითხოვს, დანახარჯიც მეტია, მიღებული შემოსავალი კი ნაკლები. მოსახლეობა უფრო რძეს და რძის პროდუქტებს აწარმოებს, ხორცპროდუქტების წარმოება კი ნაკლებადაა წარმოდგენილი.

მონაწილეების თქმით, ზემო ზონის სოფლებში მოსახლეობა მისდევს მეფუტკრეობას, თუმცა ბოლო პერიოდში შესამჩნევი გახდა ფუტკრის რაოდენობის კლება, რამაც წარმოებული თაფლის რაოდენობაც შეამცირა. ასევე, გამოწვევად დასახელდა თაფლის ხარისხის სერთიფიცირების პროცედურების მაღალი ფასი.

მართალია სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები ახდენენ კოოპერატივების იდეის პოპულარიზაციას, თუმცა მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება კოოპერატივების სარგებლიანობის შესახებ კვლავ აუცილებელია.

[1] წყალტუბოს 2020-2023 წწ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი. გვ 12

წყალტუბოში არაერთი სასათბურე მეურნეობაა, სადაც მოჰყავთ ძირითადად მწვანილი (ცერეცო, ოხრახუში), თუმცა შესაძლებელია ისეთი კულტურების მოყვანის განვითარებაც როგორიცაა მწვანე სალათის ფოთლების ნაირსახეობები, ბროკოლი, სატაცური და სხვა რომელზეც ბაზარზე მაღალია მოთხოვნა, თუმცა მოსახლეობას სჭირდება ცნობიერების ამაღლება და პერიოდული კონსულტირება თუ როგორ მოიყვანონ სწორად მსგავსი მცენარეები. აქვე გამოწვევად დასახელდა სამაცივრე და შემნახველი მეურნეობების არასაკმარისი რაოდენობა.

სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ეკონომიკური განვითარების პროგრამებზე წვდომა : აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს ეკონომიკური განვითარების ისეთი სახელმწიფო პროგრამებით, როგორიცაა დანერგე მომავალი, აწარმოე საქართველოში. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნული პროგრამების დახმარებით დაიწყო და განავითარა საკუთარი ბიზნეს საქმიანობა.

წყალტუბოში დაფუძნებულია ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, რომელიც კვლევის მიმდინარე პერიოდისთვის უკვე ახორციელებდა მოსახლეობასთან შეხვედრებს რიგით მეორე საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით. აღნიშნული საგრანტო კონკურსის ერთ-ერთ მიმართულებას წყალტუბოს მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერება წარმოადგენს.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ეკონომიკური განვითარების პროგრამებიც ახსენეს, თუმცა აქვე დასძინეს, რომ პროგრამები ხშირდ თანაბრად არ არის განაწილებული და ხელმისაწვდომი წყალტუბოს ყველა სოფელსა და მაცხოვრებელზე. *„საგრანტო კონკურსები და ეკონომიკური ხასიათის პროგრამები უფრო იმ სოფლებში ხორციელდება რომელიც დაბალ ზონას, ან ტურისტულად მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს, თუმცა არის სოფლები სადაც ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში მოსახლეობას გააჩნია პოტენციალი სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობა განავითაროს”,* აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

ეკონომიკური განვითარების პროგრამებზე მსჯელობისას გამოწვევად დასახელდა ის მრავალსაფეხურიანი და ხანგრძლივი პროცედურები, რომელიც კონკურსში მონაწილეობას უკავშირდება. ყურადღება გამახვილდა პროგრამების განმხორციელებლების მხრიდან უკუკავშირის მნიშვნელობაზე, იმ მონაწილეებისთვის, რომლებმაც კონკურსში ვერ გაიმარჯვეს. რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს მოქალაქეების ინფორმირებულობის და ცნობიერების ამაღლების საკითხს. *„მნიშვნელოვანია მოქალაქეთა სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაც, ხშირად მათ არ იციან სად მოიძიონ პროგრამების შესახებ ინფორმაცია, ან არ იციან როგორ უნდა დაწერონ ბიზნეს განაცხადი”,* აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისგან.

საწარმოები და ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და გადამუშავება, ბაზარზე წვდომა: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი კომპონენტია ადგილობრივი წარმოება. მნიშვნელოვანია ადგილზე არსებობდეს ინვესტორებისა და ბიზნეს სუბიექტებისთვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და ინფრასტრუქტურა. როგორც ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას, მონაწილეებმა აღნიშნეს, მუნიციპალიტეტი მუდმივად ცდილობს ინვესტორების მოზიდვას, რაც ხელს უწყობს ახალი საწარმოების დაფუძნებას, სამუშაო ადგილების შექმნას.

წყალტუბოში შპს „ჰერბია“ და კოოპერატივი „ჯანელიძეები”, მსხვილი ბიზნეს სუბიექტებია, რომელთაც ადგილზე მოყვანილი მწვანილი საერთაშორისო ბაზარზე გააქვთ.

მუნიციპალიტეტში ორი მოქმედი სასატბორე მეურნეობაა, რომლის ფართობიც 120 ჰექტარია. ორივე ადგილზე აქტიურად მიმდინარეობს თევზის წარმოება.[2]

შემორჩენილია ჩაის წარმოება. ჩაის პლანტაციების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაა და უმეტესი ნაწილი განახლებას საჭიროებს. შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ჩაის საწარმოს გადაიარაღება ხელს შეუწყობდა ამ მიმართულების განვითარებას და წყალტუბოში ჩაის წარმოების გაფართოებას. მოსახლეობას კი დასაქმების ახალ შესაძლებლობებს მისცემდა.

მუნიციპალიტეტში ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების, ბოსტნეულის, ხილის ნაწილის რეალიზება ადგილობრივ სასტუმროებსა და საკოლმეურნეო ბაზარში ხდება. გარკვეული სახის პროდუქცია (მაგ. მწვანილი, ღვინო) გადის საერთაშორისო ბაზარზე.

ფოკუს ჯგუფის დისკუსიის დროს გამოწვევად დასახელდა პროდუქციის მიწოდების ჯაჭვის გაუმართაობა. *„გლეხს უჭირს საკუთარი პროდუქციის რეალიზება. ის იძულებული ხდება პროდუქცია იაფად მიჰყიდოს გადამყიდველს. ასე პროდუქტი გადის რამდენიმე გადამყიდველის ხელში რაც საბოლოოდ მომხმარებლამდე მიდის გაძვირებული”,* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ. შესაბამისად ხაზი გაესვა ადგილობრივ ფერმერებთან, ბიზნეს სუბიექტებთან მჭიდრო კომუნიკაციის აუცილებლობას, რათა მოთხოვნა მიწოდების ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა მოხდეს.

ტურიზმი და რეკრეაცია: წყალტუბოში, ბოლო წლებში ყველაზე მეტად ტურიზმის სფერო ვითარდებოდა. გაიხსნა არაერთი საშუალო და მაღალი კლასის სასტუმრო, ტურისტების ნაკადის ზრდამ ხელი შეუწყო საოჯახო სასტუმროს ბიზნესის განვითარებას. ქალაქში დღემდე არსებობს არაერთი ძველი შენობა, რომელიც ტურისტული კუთხით მიმზიდველია და კვლავ ელოდება ინვესტორს. აღნიშნული შენობების ნაწილი უკვე გამოთავისუფლდა, ნაწილში კი ჯერ კვლავ განსახლებულნი არიან დევნილები. რესპოდენტების მხრიდან აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია დევნილთა განსახლების პროცედურების დაჩქარება და იმ შენობების დაცლა, სადაც დევნილები უკვე წლებია ცხოვრობენ მძიმე პირობებში, შემდეგ კი შენობების ინვესტორებისთვის შეთავაზება.

მნიშვნელოვან საკითხად გამოიკვეთა წყალტუბოს ზედა ზონის სოფლებში პროექტების განხორციელება ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების (აგრო, ეკოტურიზმი)განსავითარებლად.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, წყალტუბოში ნაკლებადაა წარმოდგენილი ტურისტებისთვის მიმზიდველი რეკრეაციული და მოსასვენებელი, გასართობი ადგილები. არსებულიც საჭიროებს კეთილმოწყობას და განახლებას. *„პირველი სკოლის მიმდებარედ არის ტყე, რომელიც ნაგავსაყრელადაა ქცეული, არადა იქ ლამაზი მოსასვენებელი რეკრეაციული ზონის მოწყობა შეიძლებოდა”,* განაცხადა ერთერთმა მონაწილემ.

[2] წყალტუბოს 2020-2023 წწ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი. გვ 12

გარდა ამისა, ტურისტულ ადგილებში არ არის საზოგადოებრივი საპირფარეშოები (ცენტრალურ პარკში არის ერთი საპირფარეშო), წყალტუბოს ცენტრალურ პარკში სასურველია განცალკევებული ველო-ბილიკის მოწყობა.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვნად დასახელდა კვალიფიციური კადრების მომზადება ტურიზმთან და სტუმარ-მასპინძლობასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა სფეროში. ადგილზე არ არის ხელმისაწვდომი უცხოენოვანი გიდები და ტურისტული კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჯგუფურ, ორგანიზებულ ტურებს, ამიტომ მსგავს ღონისძიებებს თავად სასტუმროები უზრუნველყოფენ, როლებიც ქირაობენ გიდებს და საჭირო სატრანსპორტო საშუალებებს[3].

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი: ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გარკვეულწილად გაუარესდა პანდემიის შედეგად, რადგან ტურისტული მიმართულება, რომელიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება იყო მთლიანად გაჩერდა, რის გამოც დაიხურა სასტუმროები, სადაც არაერთი ადგილობრივი იყო დასაქმებული. სტუმრებს ვეღარ ღებულობდნენ ასევე საოჯახო სასტუმროები. შედეგად კი ათეულობით ადამიანმა დაკარგა შემოსავლის წყარო.

დღეისათვის წყალტუბოს მოსახლეობის ნაწილი თვითდასაქმებულია და შინამეურნეობას ეწევა, გარკვეული ნაწილი კი სასათბურე მეურნეობებშია დასაქმებული. ადგილობრივებს მოლოდინი აქვთ, რომ პანდემია მალე გადაივლის და ტურიზმის გააქტიურება კვლავ შეუწყობს ხელს წყალტუბოში მოსახლეობის აქტიურად დასაქმებას, რაც თავისთავად დასაქმებული ადამიანების ოჯახების სოციალურ- ეკონომიკური მდგომარების გაუმჯობესებას გამოიწვევს.

როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, წყალტუბოს მოსახლეობის უმეტესობა სოფლად მაცხოვრებელია და უფრო შუახნის ასაკს გადაცილებული. პანდემიიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი საკვები პროდუქტებით დაეხმარა სოციალურად დაუცველ და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს. რესპოდენტების თქმით, საკვებ პროდუქტებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ იმ ოჯახებს, რომლებიც სახელმწიფო დახმარებაზე არიან დამოკიდებული, ასევე პენსიონერებს, რომლებიც მარტო ცხოვრობენ ან სხვა მოწყვლადობა გააჩნიათ. ანალოგიური გამოწვევის წინაშე დგას დევნილი ოჯახების გარკვეული ნაწილი, რომელთა განსახლება ჯერჯერობით არ მომხდარა და თავს კვლავ ნგრევად , საცხოვრებლად უვარგის შენობებს აფარებენ. პანდემიის შედეგად საკვებზე გაზრდილი ფასები მტკივნეულად ჰპოულობს ასახვას სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან , და პენსიონერ მოსახლეობაზე.

დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად წყალტუბოს მუნიციპალიტეტს გათვალისწინებული აქვს ახალშობილთა ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, თუმცა რამდენად ეფექტურად უწყობს ის ხელს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას უცნობია. მოსახლეობის რიცხოვნობა მუნიციპალიტეტში შემცირებულია, რისი ერთ-ერთი მიზეზიც მიგრაციული პროცესებია .[4] ახალგაზრდები ძირითადად სხვა ქალაქებში ან საზღვარგარეთ მიდიან სასწავლებლად, სამუშაოდ და უკან მხოლოდ მცირედი ნაწილი ბრუნდება, რადგან ვერ ხედავენ ადგილზე თვითდამკვიდრებისა და რეალიზების შესაძლებლობებს. წყალტუბოშიც დიდი ინტერესი გამოიწვია

[3] წყალტუბოს 2020-2023 წწ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი. გვ 15.
[4] წყალტუბოს 2020-20223 წწ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი გვ 10

გერმანიაში სამუშაოდ წასვლაზე რეგისტრაციის პროგრამამ. *„მიგრაცია რომ მაღალია, ეს ბოლო წლებში სკოლებსა და ბაღებში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებითაც კარგად ჩანს",* აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა დისკუსიის მიმდინარეობისას.

3.3 ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული სფეროა. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ადგილობრივი ბიუჯეტის, რეგიონალური ფონდისა და „სოფლის განვითარების" პროგრამის ფარგლებშიც მიმდინარეობს. არაერთი ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა ასევე მუნიციპალურმა განვითარების ფონდმა, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით.

შედეგად, დღეისათვის წყალტუბოში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია თითქმის სრულად დასრულებულია. დარჩენილია ზედა ზონის რამდენიმე სოფელი, სადაც გზა ჯერ კიდევ არ არის გამართული, ასევე მოსაწესრიგებელია საუბნო გზები. ქალაქში გარე განათების მოწესრიგება დასრულებულია, სოფლებში კი აღნიშნული პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს. სოფლებში ხელმისაწვდომია ნაგვის ურნები, ზოგიერთ სოფლებში და ქალაქ წყალტუბოში შესაძლებელია ნაგვის დახარისხება. თუმცა, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის საკითხში ყველაზე დიდ გამოწვევას მოსახლეობის ქცევის შეცვლა და ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

წყალტუბოში გაზიფიცირება მიმდინარე პროცესია. სასმელი წყლის მიწოდება ქალაქში უზრუნველყოფილია, სოფლებში კი მოსახლეობა უფრო მეტად ჭის წყლებს იყენებს. ზაფხულის პერიოდში ჭები შრება, წყლის რესურსის შემცირება შესამჩნევი ხდება. როგორც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს არ არის დასრულებული და ყველა სოფელში ხელმისაწვდომი სარწყავი სისტემა. მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება მოსახლეობისთვის. კანალიზაციის სისტემა მხოლოდ ქალაქშია ხელმისაწვდომი და ისიც ნაწილობრივ. ამ მხრივ აუცილებელია სისტემის რეაბილიტაცია/განახლება. არის შემთხვევები, როცა მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა ხელს უწყობს ეზოებსა და ქუჩებში ანტისანიტარული კერების წარმოქმნას.

სოფლებში ნაკლებია ხელმისაწვდომობა აფთიაქზე, სასურსათო მაღაზიებზე. მათი ადგილზე არსებობის აუცილებლობა კი განსაკუთრებით პანდემიის შედეგად გამოიკვეთა, როცა გადაადგილება შეზღუდული იყო, მოსახლეობას კი სასურსათო და მედიკამენტების მარაგი არ ჰქონდა. საბანკო მომსახურეობა სოფლებში ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. ნოტარიუსი, ისევე როგორც უფასო სამართლებრივი დახმარება ძირითადად მუნიციპალურ ცენტრშია ხელმისაწვდომი.

ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას გამოწვევად დასახელდა მიუსაფარი ძაღლების საკითხი, რომელთა რიცხვი მუდმივად მზარდია და ხელს უშლის მოქალაქეების (განსაკუთრებით ბავშვებისა და ხანდაზმულების) უსაფრთხო გადაადგილებას.

რაც შეეხება სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურას, დისკუსიების მიმდინარეობისას აღინიშნა, რომ მათი მოწესრიგება მუდმივად მიმდინარეობს. ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პანდემიის შედეგად შემუშავებული ახალი რეკომენდაციების დაცვა, სველი წერტილები მოწესრიგებულია და ყველა სკოლასა და ბაღს მიეწოდება წყალი. ხდება ახალი საბავშვო

ბაღების მშენებლობა, თუმცა არ არის მოწესრიგებული გარეთა სივრცეები. განახლებას საჭიროებს სკოლის კომპიუტერული ტექნიკა.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა ნაკლებადაა ადაპტირებული შშმ პირებისთვის. ძირითადად სახელმწიფო შენობებს, სასტუმროებს, სკოლებს და ბაღებს აქვთ პანდუსები. არის შემთხვევები როცა პანდუსები არ აკმაყოფილებენ სტანდარტებს.

გამოწვევად გამოიკვეთა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლის *საკითხი. „ხშირია შემთხვევები როცა მოსახლეობა შეგნებულად აზიანებს ინფრასტრუქტურას და არ ხდება ამის კონტროლი",* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: წყალტუბოში მუნიციპალური ტრანსპორტი არ არის წარმოდგენილი და მოსახლეობა სარგებლობს კერძო მიკროავტობუსებით, რომლებიც არ არის ყველა სოფლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი. როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, ზოგიერთი მაღალმთიანი სოფლიდან ტრანსპორტი კვირაში მხოლოდ რამდენიმე დღე უზრუნველყოფს მგზავრთა გადაყვანას. არსებული სატრანსპორტო საშუალებები არ არის მორგებული შშმ პირების საჭიროებებს.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: პანდემიის შედეგად მუნიციპალიტეტში გაიზარდა ინტერნეტის მოხმარება, მაგრამ საწუხაროდ როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, ინტერნეტით დაფარვა არ არის უზრუნველყოფილი სრულად. ასევე, აღინიშნა, რომ ინტერნეტის ხარვეზებით მიწოდება ხდება, ყოველთვიური გადასახადი კი მოსახლეობისთვის ძვირია. ონლაინ სწავლების პერიოდში, ბავშვებსა და სტუდენტებში შესამჩნევი იყო შესაბამისი ტექნიკის არ ქონის პრობლემა, რის გამოც უჭირდათ ინტერნეტთან წვდომა და ონლაინ სასწავლო პროცესებში ჩართვა. მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია ტელევიზია. არსებობს ადგილობრივი გაზეთი. მერიის სიახლეების შესახებ ინფორმაცია გაზეთით, სოფლის წარმომადგენლების, მერიის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელის დახმარებით ვრცელდება.

„კოვიდმა დაგვანახა, რომ საჭიროა მოქალაქეები უკეთ ფლობდნენ ინტერნეტით სარგებლობის უნარებს. ჩვენთან ინოვაციების ცენტრი იხსნება და იმედია ისიც შეიტანს წვლილს მოსახლეობაში თანამედროვე ციფრული ტექნიკის გამოყენების უნარების განვითარებაში", აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

3.4 განათლება ,კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა: სკოლამდელი და სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის როგორც სოფლად ასევე ქალაქში. უზრუნველყოფილია ასევე შშმ ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობა.

პანდემიის შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა ნაკლები ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან. ხშირად ამის მიზეზი ტექნიკის არ არსებობა იყო. „ ვარ მრავალშვილიანი. არ გვქონდა არც ტელეფონი არც ლეპტოპი სახლში, რითაც ჩემი შვილები შეძლებდნენ ონლაინ გაკვეთილებში მონაწილეობას. ერთადერთი საშუალება იყო ტელე გაკვეთილები", აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ. მშობლების გარკვეულ ნაწილს განვადებით ტექნიკის გამოტანა მოუწია, რაც ოჯახებს დამატებით ტვირთად დააწვა. სოფლებში დგას სკოლებსა და ბაღებში, კვალიფიციური ფსიქოლოგების, მედ დების ხელმისაწვდომობის საკითხი.

წყალტუბოში არ არის პროფესიული სასწავლებელი. მისი არსებობა ხელს შეუწყობდა მუნიციპალიტეტში მოთხოვნად პროფესიებზე კადრების მომზადებას. პროფესიული გადამზადების მსურველებს სასწავლებლად გადაადგილება ქუთაისში ან სხვა ქალაქებში უწევთ, რაც ოჯახებისთვის დამატებითი ხარჯია.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, როგორც ცენტრალური ასევე სათემო ბიბლიოთეკები, თუმცა არა ყველა სოფელში. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დანერგილია ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისი, პერიოდულად ხდება წიგნის საცავის განახლება. მნიშვნელოვანია სოფლის ბიბლიოთეკებშიც ხდებოდეს გარკვეული პერიოდულობით ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის (მოზარდებისთვის) საინტერესო ლიტერატურით.

მუნიციპალიტეტში მოზარდებისთვის ხელმისაწვდომია კულტურულ- საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებები, სადაც წრეები დაფინანსებულია მერიის მიერ. აღნიშნული წრეებით ვერ სარგებლობენ ქალაქიდან შორს მდებარე სკოლებში მცხოვრები ბავშვები, მათთვის ადგილზე ძირითადად ქართული ტრადიციული ცეკვის წრეებია ხელმისაწვდომი.

კეთილმოწყობილი რეკრეაციული ზონები, სპორტული და საბავშვო მოედნები ნაკლებადაა წარმოდგენილი მთელს მუნიციპალიტეტში, გარდა ქალაქისა. მოსახლეობის სურვილია გარეთა ტრენაჟორების დამონტაჟება სოფლებში, რათა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას შეეწყოს ხელი.

წყალტუბოში ფუნქციონირებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი , ნიკო ლორთქიფანიძისა და გიორგი ახვლედიანის სახლ- მუზეუმები, ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი - „ოტიას ეზო“, გეგუთის ციხე-დარბაზი (სოფ. გეგუთში), ამფითეატრი სადაც ზაფხულობით სხვადასხვა სახის კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები ტარდება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ნაკლებად ხდება ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელება. მერია ყოველწლიურად ატარებს ახალგაზრდულ ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობას წყალტუბოსა და იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტების ახალგაზრდობა იღებს. კულტურული და სპორტული აქტივობები ახალგაზრდების მონაწილეობით ძირითადად ზაფხულობით ან სადღესასწაულო დღეებში ტარდება, თუმცა პანდემიის გამო 2020 წელს შეჩერებული იყო.

ქ. წყალტუბოში გახსნილია საცურაო აუზი, თუმცა ის არ არის ხელმისაწვდომი ყველასთვის ფასიდან გამომდინარე. მერიას არ აქვს საცურაო აუზით სარგებლობის სუბსიდირების პროგრამა მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი თუ იმ პირებისთვის, რომლებიც რეაბილიტაციას საჭიროებენ.

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები : როგორც ფოკუს ჯგუფების ინტერვიუების დროს გამოიკვეთა წყალტუბოში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმები დანერგილია, თუმცა მოქალაქეები აქტიურად არ იყენებენ მათ. ხშირად ამის მიზეზი მათი ნაკლები ინფორმირებულობაა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დანერგილია სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა, რომელიც როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს დახვეწას საჭიროებს. დროებით არ არის ხელმისაწვდომი ელექტრონული პეტიციები, რადგან მიმდინარეობს ვებ გვერდის განახლება, თუმცა მეორეს მხრივ თავად მოქალაქეებშიც ნაკლებია ინფორმაცია პეტიციების შესახებ. კოვიდის შედეგად მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი

მექანიზმი არ შექმნილა და ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის, შეზღუდვების დროსაც ძირითადად სოფლის წარმომადგენლების მეშვეობით ხდებოდა. სოფლის კრებები ძირითადად მხოლოდ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ტარდება, თუმცა მოსახლეობის 20% ჩართულობის უზრუნველყოფა რთულია, ადგილზე მოსახლეობის საკმარისი რაოდენობის არ ყოფნის გამო. რესპოდენტების თქმით, მოქალაქეები ნაკლებად არიან ჩართული ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. იშვიათად ესწრებიან საკრებულოს სხდომებს. მუნიციპალიტეტს აქვს ამხანაგობების ინფრასტრუქტურული საჭიროებების თანადაფინანსების პროგრამა, თუმცა არ აქვს ამხანაგობების განვითარების სტრატეგია, რაც ხელს შეუწყობდა ამხანაგობის წევრებში საკუთარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებას და გააქტიურებას. მნიშვნელოვან საკითხად გამოიკვეთა მრჩეველთა საბჭოს გაძლიერება. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან მოქმედებს „ახალგაზრდების საკრებულო“, რომელიც ახორციელებს გარკვეულ აქტივობებსა და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ადგილობრივი თვითმმართველობისათვის. აუცილებელია „ახალგაზრდების საკრებულო“-ში წარმოდგენილი იყვნენ სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები, რაც ხელს შეუწყობს საკუთარი თემის პრობლემებზე ხმის მიწვდენას კომპეტენტურ უწყებებამდე.

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები: წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მიწოდებას მერიის სოციალური სამსახური და სოციალური მომსახურეობის სააგენტო ახორციელებენ. მერიის სოციალური პროგრამები ძირითადად ფულად გასაცემელს მოიცავს. *„ვფიქრობ რომ ფულადი სახით გაცემული თანხები ჰაერში გაფლანგული ფულია და ისინი არ ცვლიან გაჭირვებაში მყოფი ოჯახების მდგომარეობას”,* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

მერია სოციალური სერვისების და პროგრამების შემუშავებას შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ახდენს. მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით არ არის დანერგილი განხორციელებული პროგრამების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასების სისტემა.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: მერიას გააჩნია მედიკამენტებისა და სხვადასხვა სამედიცინო კვლევების, ოპერაციების თანადაფინანსების მექანიზმი, რომლითაც სარგებლობა არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს შეუძლიათ. ფუნქციონირებს საავადმყოფო, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია. 13 სოფელში არსებობს ამბულატორია, თუმცა ექიმი ყოველდღიურად არ არის ადგილზე ხელმისაწვდომი. მაღალმთიან სოფლებში (მექვენა, დღნორისა, ჭაშლეთი, დერჩი) მოსახლეობას ექიმი პარასკევს, შაბათსა და კვირას ემსახურება. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, აუცილებელია სოფლის ამბულატორიების მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და პანდემიიდან შექმნილი მდგომარეობის გათვალსიწინებით მისი ფუნქციების გაზრდა. წყალტუბოში ფუნქციონირებს დევნილთა პოლიკლინიკაც.

სოციალური საკითხები და სერვისები: ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უწევს მომსახურებას. ცენტრში ხელმისაწვდომია სარეაბილიტაციო თერაპია, ცხოვრებისა და აკადემიური უნარების გამომუშავება და საზოგადოებაში მათი ინტეგრირების მხარდაჭერა. ამ დროისთვის, ცენტრს 17 მომხმარებელი ჰყავს. ცენტრში 7-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვები დღეში 6 საათს ატარებენ. ისინი უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით, ტრანსპორტირებით ოღონდ მხოლოდ ახლო

სოფლებიდან. ფსიქოლოგის, მეტყველების სპეციალისტის მომსახურებითა და სოციალური მუშაკის დახმარებით,თუმცა საჭიროა სერვისების გაფართოება. სერვისების მიწოდება ვერც ცენტრში და ვერც ადგილზე ვერ ხერხდება ზედა ზონის სოფლებში მცხოვრები შშმ ბავშვებისთვის. სერვისის მიწოდება ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში ცენტრის ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება. სამწუხაროდ, ასევე არ არსებობს სარეაბილიტაციო, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი სერვისები და პროგრამები 18 წელს ზემოთ შშმ პირებისთვის.

მუნიციპალიტეტში მერიის დაფინანსებით ფუნქციონირებს ,,სათნოების სახლი", რომელიც დაახლოებით 190 ბენეფიციარზეა გათვლილი. აღნიშნული სათნოების სახლის მომსახურეობით, როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს შეზღუდულად სარგებლობენ დევნილები. სათნოების სახლი ბენეფიციარებს დღეში ერთჯერადად საკვებით უზრუნველყოფს. აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომია ქ. წყალტუბოს მაცხოვრებლებისთვის. ხდება სადილის შინ მიტანის უზრუნველყოფა. *„შეზღუდვების დროს მოხალისეების ჯგუფი იყო, რომლებიც შინ აკითხავდნენ ხანდაზმულებს და აწვდიდნენ საკვებს, მაშინ დავინახეთ რომ აუცილებელია სახლში მიტანის და შინ მოვლის სერვისის დანერგვა",* განაცხადა ერთერთმა მონაწილემ. მუნიციპალიტეტმა სადილის შინ მიტანის სერვისი 2020 წელს დანერგა. მაგრამ შინ მოვლის სერვისი ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი.

მუნიციპალიტეტს ჯერ არ აქვს შემუშავებული უსახლკარო ადამიანების რეგისტრაციის წესი ისევე როგორც არ არის სოციალური საცხოვრისი, თუმცა აქვთ სხვადასხვა კატეგორიის მოწყვლადი ადამინებისთვის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა.

მერიის სოციალურ პროგრამებში არ არიან გათვალისწინებული კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები და ბავშვები, არ არის მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ხელშემწყობი პროგრამები.

მერიის სოციალურ სამსახურთან შეიქმნა ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც ჯერ მხოლოდ ერთი თანამშრომლისგან შედგება. ფოკუს ჯგუფის დისკუსიის შედეგად გამოვლინდა აღნიშნული სამსახურის გაძლიერების საჭიროება, რათა ამ უკანასკნელმა დროულად შეძლოს ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფის პროგრამების შემუშავება.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეთათვის სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭება. აღინიშნა, რომ შეფასების სისტემა ობიექტურად ვერ ადგენს მოქალაქის მოწყვლადობას, ხელს არ უწყობს სოციალურად დაუცველი ოჯახების გაძლიერებას . *„ზოგჯერ მოქალაქეს ვერ გაურკვევია მას რატომ მოსდის მაღალი ქულები იმ მეზობელთან შედარებით, რომლსაც უკეთესი საცხოვრებელი პირობები აქვს",* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

4. რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ასევე, არსებული პროგრამების გადახედვა და პირობების გაუმჯობესება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთან ერთად შემუშავდეს და დაინერგოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი ფორმები იმ პროგრამების შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება.

აწარმოე საქართველოს

- მნიშვნელოვანია ,მუნიციპალიტეტებში მოსახლეობასთან კომუნიკაციის შედეგად გადაიხედოს და გაუმჯობესდეს არსებული პროგრამები, რათა გახდეს ისინი მუნიციპალიტეტის (მინიმუმ რეგიონის) საჭიროებებსა და შესაძლებლობებს მორგებული;
- მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მოქალაქეთა უნარების გაძლიერებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბიზნეს განაცხადის შევსება.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის საჭიროებას და ადგენდეს საჭიროებებს;
- შეფასების პროცესის განხორციელებისას გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის როლი, როგორც იმ სახელმწიფო დაწესებულების, რომელიც ყველაზე ახლოს დგას საკუთარ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქესთან;
- გადახედოს სოფლის ექიმების (სოფლის ამბულატორიების) დაფინანსების/ფუნქციონირების საკითხს და გახადოს იგი პანდემიიდან გამომდინარე არსებულ საჭიროებებზე მორგებული;
- ხელი შეუწყოს სოფლის ამბულატორიების ინფრასტრუქტურის და მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას;
- უზრუნველყოს დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათი დროული განსახლება;
- მუნიციპალიტეტთან ერთად ხელი შეუწყოს დევნილთა ახალაშენებულ კორპუსებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფუძნებისა და განვითარების პროცესს.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდების, ქალების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად.
- ხელი შეუწყოს ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას.

- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმები. მოხდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისთვის;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი სერვისების მიწოდებით. პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუთსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი მუნიციპალიტეტში;
- აუცილებელია გაგრძელდეს სოფლებში სპორტული, საბავშვო მოედნების კეთილმოწყობა/რეაბილიტაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
- მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილების გაძლიერებას;
- მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოკლევადიან პროფესიული განათლების პროგრამებზე (სამუშაო პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა, პროფესიული სწავლებისას ტრანსპორტირების დაფინანსება და სხვა).

5. საბიუჯეტო პროგრამა წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	*მარტოდ მცხოვრები და მარტოხელა, სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების შინ მოვლა*	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
პროგრამის განმხორციელებელი უწყება(სამსახური)	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
წინაპირობა	სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის მარტის მონაცემებით ,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 702 [5], 70 წელს გადაცილებული ხანდაზმულია რეგისტრირებული, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000 არ აღემატება. მათი გარკვეული ნაწილი მარტოხელა ან მარტოდ მცხოვრებია. პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი ახდენდა აღნიშნული მოწყვლადი ხანდაზმულებისთვის სასურსათო კალათის მიწოდებას, თუმცა როგორც ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) მიერ კვლევის დროს ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფების დისკუსიების შედეგებმა აჩვენა, დღეისათვის აღნიშნული მოწყვლადობის მქონე მოქალაქეებისთვის, წყალტუბოში მდგრადი გრძელვადიანი სერვისი ხელმისაწვდომი არ არის. აქვე აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მარტოხელა და მარტოდ მცხოვრებ, სოციალურად დაუცველ ხანდაზმულებს ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ადგილზე ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ საკვები პროდუქტები დამატებითი გადაადგილების აუცილებლობის გარეშე, ისევე როგორც მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მათ ჰიგიენური ნორმების დაცვაში.			
პროგრამის ბენეფიციარები	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 70 წელს გადაცილებული მარტოხელა და მარტოდ მცხოვრები ხანდაზმულები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000 არ აღემატება.			

[5] http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1539 სოციალური მომსახურების სააგენტო

პროგრამის აღწერა (მიზანი)	სერვისის მიზანია მზრუნველი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა პროგრამის ბენეფიციარებისთვის. პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების ჰიგიენური პირობების მოწესრიგებას ან ჰიგიენური საშუალებების მიწოდებას თვეში 2-ჯერ (ვიზიტი ორ კვირაში ერთხელ) და ყოველთვიურად საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას, უფასო სასადილოს ბენეფიციარების გარდა. პროგრამის ბენეფიციარების აღწერა უნდა განახორციელოს მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურმა, მერის წარმომადგენლების დახმარებით. პროგრამაში ჩასართავად, მოქალაქემ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ასლი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. განცხადებას შეისწავლის ჯანმრთელობის, სოციალური მომსახურების, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური და ინფორმაციას(აქტის სახით) წარუდგენს სოციალური დახმარების გამცემ კომისიას გადაწყვეტილების მისაღებად.			
პროგრამის შედეგი	შინ მოვლის პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის უზრუნველყოფილია მზრუნველი, უსაფრთხო და ღირსეული პირობები.			
შესრულების ინდიკატორი	საწყისი მაჩვენებელი	2022 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი
	0	ხანდაზმული	ხანდაზმული	ხანდაზმული
პროგრამის შესრულების მონიტორინგის განმხორციელებელი	შიდა აუდიტის სამსახური			
რისკები	ვირუსით ინფიცირების მატების შედეგად დაწესებული შეზღუდვები სერვისზე გაზრდილი მოთხოვნა			

6. დანართი: სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	- მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება.	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ?	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	5. ინფასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები?	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურეობა? 9. რას დაასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას? 14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?	
განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა	15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისწვდომი? თუ არის საგანამანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული? 116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვომია? 17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?	განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები:კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო;სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.
ძირითადი სერვისები და პროგრამები	18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში? 19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?	ყურადღების გამახველება პრგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.
Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები	20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად? 21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში? 22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?	ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.
რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის	23.რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? 24.რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.